ფითნები გულის წინაშე წარდგებიან, როგორც ლერწმის ხალიჩის რიგები, ერთიმეორის მიყოლებით

გადმოცემულია ჰუზაიფასგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ თქვა: ჩვენ ვიყავით უმართან ერთად (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) და მან თქვა: "რომელმა თგენგანმა გაიგონა, ალლაჰის შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) როცა ის ახსენებდა ფითნებს (ცდუნებებს)". საზოგადოების ერთმა ნაწილმა თქვა: "ჩვენ გავიგონეთ მისგან", მან თქვა: "ალბათ თქვენ გულისხმობთ მამაკაცის განსაცდელს ოჯახში და მეზობლებთან?" თქვეს: "დიახ", თქვა: "მაგ ყველლაფერს ლოცვა, მარხვა და მოწყალება გამოისყიდის, მაგრამ რომელმა თქვენგანმა გაიგონა შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) რომ ახსენებდა ისეთ განსაცდელს, რომელიც აბობოქრებული ზღვის ტალღებს ჰგავს?" ჰუზაიფამ თქვა: "გაჩუმდა ხალხი", მე ვთქვი: "მე", თქვა: "მოყევი, ალლაჰმა შეიწყალის მამაშენი", ჰუზაიფამ თქვა: "გავიგონე ალლაჰის შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ამბობდა: «ფითნები გულის წინაშე წარდგებიან, როგორც ლერწმის ხალიჩის რიგები, ერთიმეორის მიყოლებით. ყოველი გული, რომელიც შეიწოვს ამ ფითნებს, დაიბეჭდება შავი ლაქით. ხოლო ყოველი გული, რომელიც მათ უარყოფს, დაიბეჭდება თეთრი ლაქით. ეს გაგრძელდება მანამ, სანამ გულები არ გაიყოფიან ორ ტიპად: ერთი — თეთრი, როგორიცაა გლუვი ქვა, რომელსაც ვერაფერი ავნებს, ვიდრე იარსებებს ცა და მიწა; მეორე — შავი, ნაცრისფერი ელფერით, გადაბრუნებული ჭურჭლის მსგავსად, რომელიც ვეღარ აღიქვამს სიკეთეს და არ უარყოფს ბოროტებას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ის მის ვნებებს ემთხვევა». ჰუზაიფამ (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) თქვა: "ვუამბე უმარს, რომ შენსა და ამ ფითნებს შორის არის დაკეტილი კარი, რომელიც მალე გატყდება.“ უმარმა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) ჰკითხა: "ასე ამბობ, რომ მას უბრალოდ გააღებენ?" "არა, მას სწორედ დაამსხვრევენ", — ვუპასუხე მე. და ავუხსენი, რომ ეს კარი ადამიანი იყო, რომელსაც ან მოკლავდნენ, ან გარდაიცვლებოდა. აბუ ხალიდმა დაამატა: „ვკითხე საადს: — ო, აბუ მალიქ, რას ნიშნავს ‘შავი ნაცრისფერი ელფერით’?“ მან მიპასუხა: — ეს არის შავი და თეთრი ფერის შეზავება. ვკითხე: — და რას ნიშნავს ‘გადაბრუნებული ჭურჭელი’?“ მან მიპასუხა: — ეს არის ჭურჭელი, რომელიც თავდაყირა დგას".

[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა მუსლიმმა]

მორწმუნეთა მმართველი უმარ იბნ ალ-ხატტაბი (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) იმყოფებოდა ერთ-ერთ მეჯლისზე და მასთან ერთად იყო საჰაბების ერთი ჯგუფი (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) და უთხრა მათ: «რომელმა თქვენგანმა გაიგონა შუმავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას), რომ ფითნებს (განსაცდელებს) ახსენებდა?» ზოგიერთმა მათგანმა თქვა: «ჩვენ გავიგეთ როგორ ახსენებდა ის ფითნებს». უმარმა (ალლაჰის იყოს მისით კმაყოფილი) თქვა: «ალბათ თქვენ გულისხმობთ ადამიანის განსაცდელსა და გამოცდებს მის პირად ცხოვრებაში: ცოლ-შვილში, ოჯახის წევრების მიმართ, ვისთანაც ძალიან გადააჭარბა სიყვარულს, ან მათდამი ძუნწობას, ან ის მათით ზედმეტად დაკავებულია და ამან ბევრ სიკეთეზე ათქმევინა უარი, ან

უგულვებელჰყო მათი უფლებების შესრულება, რომელიც გულისხმობს მათ აღზრდას და განათლებას, ასევე ადამიანის განსაცდელს თავისი მეზობლის მიმართ და მსგავსს, ალბათ ამას გულისხმობთ?» თქვეს: "დიახ", თქვა: «ეს განსაცდელები მოითხოვს პასუხისმგებლობას, მათგან არის ცოდვები, რომლებიც იმედი არის, რომ მათი გამოსასყიდი იქნება კეთილი საქმეები, როგორიც არის ლოცვა, მარხვა და მოწყალება». «მაგრამ რომელმა თქვენგანმა გაიგონა შუამავლისგან (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას), სადაც ახსენებდა ზოგადად განსაცდელს, რომელიც იქნებოდა ძალიან დიდი და ძალიან გავრცელებული, რომელიც შეაზანზარებს ხალხს, როგორც აბობოქრებული ზღვის ტალღა?» გაჩუმდა ხალხი. ამ დროს კი ჰუზაიფა იბნ ალ-იამანიმ (ალლაჰი იყოს მათით კმაყოფილი) თქვა: «მე გავიგონე», გაუხარდა უმარს (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), და უთხრა მას: «ყოჩაღ მამაშენს, შენაირი შვილის გაზრდისთვის»; ჰუზაიფამ თქვა: შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: გამოცდები (ფითნები) ჩნდება და აღწევს ადამიანის გულამდე, როგორც ხალიჩის ბოჭკოები ეხება სხეულს იმ ადამიანისას, ვინც მასზე წევს. ეს შედარება მიუთითებს ფითნების ძლიერ ზემოქმედებაზე გულზე. ეს ცდუნებები მეორდება და თანმიმდევრულად მოსდევს ერთმანეთს, ერთის შემდეგ მეორე. გულს, რომელშიც ეს ფითნები აღწევს, რომელიც მათ შეიყვარებს და შეიწოვს — ისე, როგორც სასმელი შეიწოვება — მიენიჭება შავი ლაქა. ხოლო გულს, რომელმაც ისინი უარყო, მიენიჭება თეთრი ლაქა. ამგვარად, გულები იყოფა ორ ტიპად: თეთრი გული — ეს არის გული, რომელიც მტკიცეა რწმენაში, სუფთაა ნაკლოვანებებისგან. ფითნები მას არ შეხებია და არ მოუხდენია გავლენა მასზე, როგორც გლუვ ქვას, რომელსაც არაფერი ეწებება. ასეთ გულს არ ავნებს არცერთი ფითნა მანამ, სანამ ის არ წარსდგება ალლაჰის წინაშე. მეორე გული კი არის გული, რომლის ფერიც შეიცვალა შავად მრავალი განსაცდელის გამო, როგორც გადაყირავებული ან ამობრუნებული დოქი, რომელშიც არ გაჩერდება წყალი, ამის მსგავსია ის გულიც, მასში არ გაჩერდება არც სიკეთე და არც სიბრძნე, ის აღარ ცნობს სიკეთეს და გმობს ბოროტებას, გარდა იმისა, რაც მას უყვარს და რაც მის ვნებებს სურს. ჰუზაიფამ უთხრა უმარს: "ეს ფითნები შენს სიცოცხლეში არ დაიწყება. შენსა და ამ ფითნებს შორის არის დაკეტილი კარი, რომელიც მალე გატყდება". უმარმა ჰკითხა: "ნუთუ მას გატეხენ? რომ გაეხსნათ, ალბათ, ისევ შეიძლებოდა მისი დახურვა". ჰუზაიფამ უპასუხა: "არა, მას სწორედ რომ გატეხენ. და ეს კარი — ეს არის ადამიანი, რომელიც მოკლული იქნება ან მოკვდება". "და ის, რაც მე აღვნიშნე — ეს არის სარწმუნო და დადასტურებული ცნობები. ისინი არ არის აღებული წიგნის ხალხის წყაროებიდან და არც იმ ადამიანის მოსაზრებებს წარმოადგენს, რომელიც მხოლოდ საკუთარ აზრზე დაყრდნობით საუბრობს. ეს ცნობები მოდის მოციქულის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ჰადისიდან".

https://sunnah.global/hadeeth/ka/show/66382

النجاة الخيرية
ALNAJAT CHARITY
لجنة الدعوة الإلكترونية
EDC E-Da'wah Committee